№ 2

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება დერ. საზ. კანტორაში და იოსებ იმედაშვილთან („ხოროპანი"-ს სტამბაში). მისამართი:
Тифлисъ, Ред. „Театри да Цховреба"
Іос. Имедашвили.
ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.— ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება შუადღის 10—2 ს. და საღ. 6—7 ს. ტელეფონი № 15-41.

№ 2 ქვირა, 16 მარტი 1914 წ.

მარტი 16.

ყრილობის მოლოდინში.

თეატრი სხვაგან უმეტესად თუ მხოლოდ გასართობი იყო და არის, ჩვენში უმთავრესად გონების გამწრთობი, ზნეობის გამაფაქიზებელი იყო და უნდა იქნეს კიდეც...

ასე იყო ჩვენის თეატრის დაფუძნებისა და ქართული კომედიის დაბადების დღიდან—ნეტარხსენებულ გ. ერისთავის მოღვაწეობის ხანაში, ზ. ანტონოვისა და ავ. ცაგარლის მწერლობის დროს, ასევეა ჩვენს დროშიც: ი. გედევანიშვილის, ვ. გუნიას, დ. კლდიაშვილის, ნ. შიუკაშვილისა და ვ. შალიკაშვილის დრამატიული შემოქმედებანი ამ აზრის ცხადმყოფელია...

ჩვ ნს ძველს მსახიობსაც შეგნებით თუ ალღოთი ასევე ესმოდა თვისი მოწოდება და იგი უმთავრესად საზოგადო მოღვაწე—აღმზრდელი, მსახიობი - მოქალაქე იყო თავისი შემოქმედებითი მუშაობის დროს...

გასული საუკუნის 80-იან წლების ჩვენი საუკეთესო ინტელიგენციაც ამ აზრით იყო გამსჭვალული, მთელ მის მოქმედებას საფუძვლად საზოგადოების გაწრთვნა-აღზრდა ჰქონდა დადებული...

გარნა მუდამ ამ სიმაღლეზე არ იდგა ჩვენი მსახიობი: ხშირად ისეთ წარმოდგენას მართავდა, ისეთ პიესას აირჩევდა სათამაშოდ, წარმოდგენას ისე ასახიჩრებდა ხოლმე, რომ **ხელოვნობისა** კი არა და **ხელოსნობის** ნატამლიც არ ეტყობოდა...

ამას აიძულებდა კუპის საკითხი, თავის რჩენის მოვალეობა...

მაგრამ უარესიც მომხდარა: რომელიმე „პირველხარისხოვანთაგანი" მხოლოდ და მხოლოდ ჯიბის შესამატად ისეთ „დასს" შეადგენდა წარმოდგენები გასამართავდ, რომ მთელ წარმოდგენაში მხოლოდ ეს „პირველხარისხოვანი" ერკვეოდა, პიესის დედა აზრი-კი, ცხოვრების დასურათხატება, წარმოდგენით მთლიანი შთაბეჭდილების შექმნა სადღაც ჰქრებოდა...

ხშირად სადმე დაბაში, სოფელში თუ მიყრუებულ ქალაქში გამოჩნდებოდა ვინმე „არტისტი" და ბოროტად ხმარობდა როგორც გულუბრყვილო ხალხის ნდობას, აგრეთვე უპატრონოდ მიტოვებული ასპარეზს—სასოფლო თუ სადაბო სცენას...

ჩვენს სამშობლო სცენაზე მხოლოდ და მხოლოდ შეგნებულმა, გონება-გახსნილმა, ჭეშმარიტმა ხელოვანმა და იდეურმა მსახიობმა უნდა დაიკაოს ადგილი,—სხვა მეტი ბარგია...

ქართველმა მსახიობმა—სამშობლო სცენის მუშამ ერთხელ და სამუდამოდ უნდა შეისისხლხორცოს ის აზრი, რომ იგი არა მხოლოდ უბრალო დაქირავებული მუშა, არამედ საზოგადო მოღვაწეა, საეროვნო საქმის მოსამსახურე, სცენის საკურთხევლის უანგარო მზრავი...

და რომელ მსახიობსაც ასე არ ესმის თავისი მოვალეობა, — ის არც შესაწყნარებელია...

ჩვენი სცენა მხოლოდ და მხოლოდ მშვენიერობის სანახაობათა გზით ერის, ხალხის აღზრდა-გაწრთვნა-გათვითცნობიერებას და საკაცობრიო იდეალთა დასახვას უნდა ემსახურებოდეს...

ჩვენი თეატრი მხოლოდ და მხოლოდ ჩვენის ცხოვრების სწორი, ნამდვილი ანარეკლი უნდა იყოს, მაგრამ ამავე დროს მაღალ ხელოვნურ-მხატვრული...

ჩვენმა სცენამ უმთავრესად ქალაქის მშრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელთა, დემოკრატიულ ინტელიგენციის წყურვილის დაკმაყოფილება და სოფლის კულტურული სამსახური დაისახოს მიზნად...

აი, სხვა მრავალ საკითხთა შორის, რომლის პროგრამაც გასული კვირის ნომერში დავბეჭდეთ და დღევანდელ ნომერში-კი ძველი გამგეობის გეგმას ვბეჭდავთ, რას უნდა მიაქციოს ყურადღება სრულიად საქართველოს სცენის მოღვაწეთა ყრილობამ...

ამ ყრილობამ უეჭველად უნდა შექმნას ერთი მთავარი ხელმძღვანელი დაწესებულება, რომელსაც უნდა უმორჩილებდენ — იდეურად მიმცთელ საქართველოში მომქმედ-მოღვაწე თეატრთა მესვეურნი და სცენის მუშაკნი...

ქართული დრამატიული ხელოვნების მოკლე მიმოხილვა

იყო დრო, როდესაც ქართული თეატრის საქმე უკიდურეს მდგომარეობამდე მივიდა და იმდენად დასნეულდა, რომ სულს ღაფავდა. თანაც მაშინდელმა გამგეობამ უნდერძა ახალ-გამგეობას აუარებელი ვალი, რომლის გასტუმრებსაც დიდძალი თანხა დასჭირდა. მაგრამ ახალმა გამგეობამ ყოველი ღონისძიება იხმარა და საქმე კვლავ გამოაგვარა. სამი წლის განმავლობაში საქმე იმდენად გაუმჯობესდა, რომ შესძლო დამსახურებულ მსახიობთათვის პენსიების დანიშვნა და სხვა ხარჯების გამოღება; წელს კი, როგორც ვიცით, დრამატიული საზოგადოების გამგეობამ პირველი სეზონი უდეფიციტოდ დაამთავრა (მიუხედავად იმისა, რომ თავად-აზნაურობამ ერთდროული დახმარება 2000 მანათით შეუმცირა) და შესძლო გაზაფხულის სეზონის დაწყებაც.

ერთის სიტყვით ქონებრივი მხრით დრამატიული საზოგადოების საქმე ძლიერ დაწინაურდა. რასაკვირველია ეს დაწინაურება არაფრად ეღირებოდა, მხატვრულ განვითარებას რომ არ მისდევდეს კვალდაკვალ. გაქრა ის დრო, როდესაც ცრუკლასიკური და ნაძალადევი ისტორიული პიესები აღფრთოვანებას იწვევდა ხალხში. თუმცა ამ პიესებმა შექმნა მთელი აუდიტორია, მაგრამ ახლა იმდენად გართულდა და განვითარდა ხალხის გემოვნება, რომ ისეთი პიესები მას აღარ აკმაყოფილებს, ხალხი ითხოვს საზრდოს სულიერს და გონივრულს: ამიტომ პიესებს შინაარსთან ერთად უნდა ჰქონდეს მხატვრულობა. რასაკვირველია, დრომ წამოაყენა მოთხოვნილება მსახიობებისა და რეჟისორებისა ახალი შკოლით, ახალი ტენდენციით და მისწრაფებით და ეს ახალი ქურუმნი სასცენო ტაძრისა თავის ძალღონეს არა ჰზოგავენ, რათა შეჰქმნან წარმოდგენით მთლიანი შთაბეჭდილება მხატვრულის ანსამბლითა.

ამ მხრივ განსაკუთრებით ღირსშესანიშნავი იყო წარსული სეზონი.

გაიზარდა მოთხოვნილება ხალხშიც. მარტო თბილისის ქართული მთავარი, თეატრი ვერ აუდის თეატრში მოსიარულეთ; დრამატიულ საზოგადოებას მხარში ამოუდგა სახალხო სახლთან არსებული ქართ. წარ. მმართველი წრე, სადაც გამგეობის რამდენიმე წევრისა და განსაკუთრებით რეჟისორის ა. წუწუნავას თავგამოდებით ქართულმა სექციამ თითქმის პირველი ალაგი დაიჭირა დანარჩენ სექციებში. მუდმივი წარმოდგენების გასამართავად წრეები დაარსდა და თითქმის მთელი წლის განმავლობაში იმართება ქართული წარმოდგენები ნაძალადევში, ხარფუხში და ავლაბარში! ყველგან ხალხი ხალისით დაიარება და აფასებს ამ დარგის მოღ-თა შრომას.

პროვინციებშიც საქმე თანდათან ვითარდება. წინად თუ მუდმივი დასები მხოლოდ თბილისსა და ქუთაისში არსებობდა, ახლა მუდმივი დასები არსებობს და მთელი სეზონის განმავლობაში წარმოდგენები იმართება: თბილისის და ქუთაისის გარდა—ბაქოში, ბათომში, სურამში, ჭიათურაში, ოზურგეთში და სხვა.

საქმის თანდათანმა განვითარებამ აუარებელი საჭირბოროტო საკითხი გამოიწვია, რომელთა დროითი გადაწყვეტა ფრიად საჭიროა და დიდმნიშვნელოვანიც; ამიტომ პრესაში თუ კერძოდ უფრო ხშირად გაისმის ხოლმე ხმა, სათეატრო მოღვაწეთა წარმომადგენლების კრების მოწვევის თაობაზე და იმედია მომდინარე გაზაფხულს განხორციელება ეს აზრი. უეჭველად საჭიროა აგრედვე მოწვევა მსახიობების პროფესიონალურ კრებისა და მსახიობთ პროფესიონალურ კავშირის დაარსებისა, რის შესახებაც შემდეგ წერილებში მოვილაპარაკებთ.

გან-დე-ხოსინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტრიქონები

გრძნობას გარდაჰქმნის სიცოცხლის ღელვა,
აზრს თან წარიღებს ცვალებადობა;
ნაზ სულის ტრფობას კვნესა დაჰკნობს,
ოცნებას მოჰკლავს კაცთ უნდობლობა,—
სიამოვნების ცელქი ამური
სევდის წყვდიადში გამიფრინდება;
და მარგალიტის ცრემლთა აკიდო
მგოსანს თვალებში გამიბრწყინდება,—
გაწყდება სიმიც... და თან გაჰყვება
ჯადო სიცოცხლეც ძნელ დასათმობი,
არარაობის ფერფლად იქცევა
ყრმობის სიზმარში ნახულ-ნაგრძნობი!..
ჟამთ თანამგზავრად დარჩება მხოლოდ
უკვდავი ცეცხლი ჩემის სულისა;
და ივლის სოფლად, ვიდრე იშვება
ახალი ღმერთი სიყვარულისა!..



ეროვნული თეატრი

ავიღოთ რუსების თეატრი...

რუსების თეატრი სულ სხვანაირი მხატვრული სამოთხის შვილია, ვიდრე მისი ევროპიული თანამოძმეები...

რუსების თეატრი ღვიძლი ბიძაშვილია რუსეთის იდეალების ძებნით მრავალტანჯული ინტელიგენციისა და აკი თითქმის ყველა თეატრებზე მაღლა ევროპაში თეატრი დგას. შინაარსით, ცოცხალი შემოქმედებით—სწორედ იმის შესაბამისად, როგორც რუსეთის ინტელიგენცია ევროპის ყველა ერთა ინტელიგენციებზე მაღლა სდგას—მიმათულებით, ზნეობრივი სიფაქიზით, საზოგადოებრივ ტანჯვათა შეგრძნობით და იდეალებისადმი სიყვარულით.

რუსების თეატრის ტონის მიმცემი, მისი მამოძრავებელი ძალები, მისი მასაზრდოებელიცკი, მსმენელი-ინტელიგენციაა, ოცნება ანთებული ინტელიგენცია, და აკი რუსთა თეატრის მხატვრულმა შემოქმედებამ აღმოაცენა სათეატრო ხელოვნების ისეთი მარგალიტი, როგორიც მოსკოვის სამხატვრო თეატრია.

რუსების თეატრი, შედარებით, ახალგაზდა თეატრია. მისი მოძრაობა ინტენსიურია, ის ყვავის, აღორძინების ხანაშია. მისი საუკეთესო წარმომადგენელის, მოსკოვის სამხატვრო თეატრის შინაარსიანობა, შემოქმედებითი სირთულე, და სიმაღლე—მთელი ევროპის თეატრების ყურადღებას იპყრობს და მაინც რუსეთში ლაპარაკობენ თეატრის კრიზისზე, მაინც ეს სამი-ოთხი წელია რაც თეატრის მოძრაობას და მასთან სამხატვრო თეატრის მღუშაობას ერთ წერტილზე გაყინულს უწოდებენ.

რატომ?

ალბად არის სიმაღლე, რომლის იქით წასვლა მემოქმედებაში აღარ შეიძლება.

ალბად, თეატრის მრავალგვარი მხატვრული ცვალებადობა თავისთავად არც ისე საინტერესოა, თუ მას აქვს დაკისრებული უფრო საპატიო როლი საზოგადო მოღვაწეობისა.

და მართლაც, რაში სჭირია რუსის ერს კამერგერის ქუჩაზე რამდენიმე ასი ინტელიგენტ სტკბებოდეს მხატვრულის განცდით, თუ ამავე დროს ორ-მილიონიან მოსკოვში მილიონ-ნახევარი დამოკრატიას არავითარი საშუალება არა აქვს დაეწაფოს ამავე მხატვრობას? რაში ეპიტნავება მას ის ეროვნული სიამაყე, თუ კი თვით რუსის ერი მის ტკივილებს ვერასოდეს ვერ ნახავს განსახიერებულს ამ მხატვრობით?

ალბად, რუსების თეატრის კრიზისზე როცა აქვს ლაპარაკი რუსეთის დემოკრატიულ პრესას, მას მხედველობაში აქვს ის მდგომარეობა, რომ უვიცობით და სიბნელით მოცულს ქვეყნად უდიდეს იმპერიაში თეატრს ვერ მოუხერხებია იკისროს მოქალაქის როლი, ვერ მოუხერხებია გახდეს სინათლის მატარებელ იარაღად ხალხში, დატრიალდეს ერში, გახდეს ერის, დაბეჩავებული დემოკრატიის სულისკვეთების ტაძრად...

და მართლაც გაყინვა არ არის თეატრისა, რომ სათეატრო ხელოვნება ასე მაღლა იდგეს და ამავე დროს ერი მოკლებული იყოს მას?

რომ რამდენიმე ასი ინტელიგენტი სტკებოდეს მისით, და ამავე დროს იყოს მთელი მაზრები და გუბერნიებიც, სადაც თეატრი არასოდეს არ არსებულა?

და მთელი ერი, რომლის კულტურულად ასამაღლებლად საუკეთესო იდეური იარაღი თეატრია—სრულიად მოწყეტილი იყოს მას—განა ეს კრიზისი არ არის?...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსკოვის სამხატვრო თეატრმა მიაღწია მხატვრული შემოქმედების უმაღლეს საფეხურამდე, შეჰქმნა არა თუ ბუნების, ცხოვრების სრული, უნაკლო დასურათება, არამდე მან შეჰქმნა ადამიანის სულისკვეთების მათემატიკური დასურათხატებაც-კი, ის გადაიქცა არა მარტო გარეგნული ცხოვრების ჭეშმარიტად უნაკლო სარკედ, მან გასოცარის სიმარტივით დაასურათა ადამიანის იდუმალი მხარეებიც-კი — მისი სულისკვეთებისა და აზრის ცხოვრება, მათი მრავალგვარობა ესე იგი, მიაღწია იქამდის, რის იქით მას თითქმის გასაქანიც არა აქვს და კრიტიკამ სამართლიანად დაუყენა კითხვა:-მერე?

ჩვენ ზემოთ ვთქვით („თ. და ც." № 1), რომ თეატრი ხშირად თამაშობს სამარცხვინო როლს, რომლისაგან წითლდება მისი სერიოზული მოღვაწე.

დიაღ ევროპაში თანამედროვე თეატრთა უმრავლესობის ბატონი, მისი ტონის მიმცემი გამაძღარი, უშინაარსო, ყოველგვარ მხატვრულ ოცნებასა და გემოვნებას მოკლებული, გარყვნილების უერთგულესი მეგობარი ბურჟუაზიაა.

მისგან არის ის დამოკიდებული, მისი უფერული და გახრწნილი ოცნების მეგობარია, მისი გამრთობია...

და განა საკვალალო, სატირელი არ არის, რომ ხელოვნება ამ მდგომარეობაში იყოს? რომ ხელოვნება მოცლილი საზოგადოების მხოლოდ გამრთობ საშუალებად იყოს, რომ ის კლოუნის, მასხარის როლს თამაშობდეს?

განა არ უნდა წითლდებოდეს თეატრის სერიოზული მოღვაწე, როცა მისი სათაყვანო ხელოვნების დარგი, ასეთი მშვენიერი იდეური იარაღი მეძავი ქალის ხარისხამდე იყოს ჩამოყვანილი? განა შეურაცხყოფა არ არის თეატრის სერიოზული მოღვაწისათვის, რომ ხელოვნების სრულად უგრძნობელ, სულიერად მკვდარ, უსაქმურობისაგან ხასიათ-გახრწნილ საზოგადოების ნაწილის გამრთობ შანტანად იყოს გადაქცეული და ეს იმ დროს, როცა თანამედროვე საზოგადოების უფრო შინარსიანი, ოცნება ანთებული, იდეალების მძებნელი და ხელოვნებისადმი სიყვარულით აღსავსე ნაწილი ვერ იკლავს თავის მხატვრულ წყურვილს, ვერ დასწაფებია იმ წყაროს, სადაც ის, ვით სარკეში, დაინახავს მისი სულისკვეთების განსახიერებას?

თ. იანელი

სიმართლე და ჭეშმარიტება

სიმართლე და ჭეშმარიტება! სად არი იგი?

დასაბამიდან დღევანდლამდე ეძებს მსკაცი, ყოველ მხარეს ეპოტინება და არსად კი არ სჩანს

ერთსა ჰგონია, აჰა, ვიპოვე იგი ჩემს მეგობარში, გულით რომ მიყვარს, მასაც ვუყვარვარ და — ერთ დღეს — თურმე იგი მეგობარი მეგობრულ გრძნობის მოტყუება ყოფილა მხოლოდ...

სხვა, ულმობელი ცხოვრებით გამწარებული, ეძებს სათაყვანებლ თავის ღმერთსა, ღმერთს ჭეშმარიტსა, რომ მას მიუძღვნას მსხვერპლი თვისი და ამ მსხვერპლით მტლედ დაედოს ასწილ განაწამებს თავისს სამშობლოს, მაგრამ ღმერთი იგი, ჭეშმარიტი, მხოლოდ ავადმყოფ აზროვნების ნაყოფი ყოფილა და სხვა არარა!

სიმართლე და ჭეშმარიტება!

ოო, როგორ არა, თქვენ ბრმები ხართ, თორემ მე ვპოვე იგი, ვპოვე სატრფოში, — ასე ამბობს ჭაბუკი ახალგაზდური თავდავიწყებულ გატაცებითა და სიყვარულის ცეცხლით აღვსილი, მოელვარე თვალებით შესცქერის იგი თვის გულის სწორსა, ჭეშმარიტებისა და სიმართლის ღმერთად მიჩნეულს, მაგრამ...

ვაი, რომ ის სატრფო მისი, ყოფილა მხოლოდ ხორცით დატკბობის მოსურნე და სხვა ყოველივე ტყუილი და მარტოოდენ სიცრუე!

სიმართლე და ჭეშმარიტება!

ოო, საბრალონო, როგორ არ არის, მხოლოდ უნდა აჩვენო იმას შენი სიმტკიცე და შენი ძალა!

ასე ჰფიქრობს დაბეჩავებულ ხალხისათვის თავგამოდებული და ჰყვირის ხმამაღლა:

— „ამხედრდით, მოუპოვეთ ხალხს ღმერთებისაგან წართმეული თვისი უფლება და სიმართლე და ჭეშმარიტება მოეფინება დედამიწასო!"

მაგრამ, ჰოი, საბარლობავ...

თვალთმაქცობა ყოფილა მხოლოდ...

იგი, ჭეშმარიტების მაძებარი, როდესაც განიცდის სიმართლისა პირველსა სხივებს, თვითვე ჰფარავს მას, ქვესკნელში მალავს!

და ხალხი იგი, ბეჩავი ხალხი, კვლავ წყვდიადით გარემოცული, ეძებს სიმართლეს, ეძებს თვის ღმერთს, ჭეშმარიტებას და გულშემზარავის ხმით გაიძახის:

„სადა ხარ, სად სიმართლეე ჭ ჭეშმარიტებავ?!"

ვანო ბარველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწყევლილი დღე

როდესაც ილარიონმა ავადმყოფების მიღება გაათავა, პირველი საათის თხუთმეტი წამი იქნებოდა გადასული. ის შეუდგა მაგიდაზე გაბნეული ვერცხლის ფულის შეგროვებას, გადათვალა ფული, სახეზე უკმაყოფილება გამოეხატა, ზეზე წამოდგა და დაიწყო თვალიერება, ხომ არსად არის ფული დარჩენილიო.

მაგრამ მისმა თვალებმა სანუგეშო ვერსად ვერაფერი დაინახეს.

— თითქოს ავადმყოფები საკმაოდ იყვენ და ფული-კი არსად არის, წარმოსთქვა მან გულდაწყეტით და კიდევ გადააავლო მაგიდას თვალი.

მაგიდაზე გახვრეტილი ფარაც აღარ იყო.

— დღევანდელი დღე ძალიან უბარაქოა, წარმოსთქვა მან და გადაათვალიერა ვიზიტების სია.

—სამაგიერად ექვსი ვიზიტია! სიამოვნებით წარმოსთქვა ილარიონმა. ზოგი სამ მანეთს მომცემს, ზოგი ორს. წარმოვიდგინოთ, რომ საშუალო რიცხვით ორ-ორი **მანათი ავიღე**,— სულ შეადგენს თორმეტ **მანათს**, აქედან ეტლს ერგება დახლოვებით ორი მანათი; მე დამრჩება ერთი თუმანი. არა უშავს რა!

ილარიონი გამოვიდა კაბინეტიდან, ტანისამოსი **გამოიცვალა**, ყავა დალია, ჩაჯდა **ეტლში** და გასწია ავადმყოფებისკენ.

პირველი ავადმყოფი აღმოჩნდა თვრამეტი წლის ახალგაზდა. ჭლექი ჰქონდა მორეული და ექვსი თვე ლოგინს ვეღარ მოცილებოდა.

სახლში საშინელი სიღარიბის სუნი ტრიალებდა.

ავადმყოფს ბევრი ექიმი გამოეცვალა; რადგანაც ვერავის ვერ ეშველა, ახლა ილარიონს მიმართეს.

ილარიონმა გასინჯა ავადმყოფი, გამოწერა წამლები; ავადმყოფს ღიმილით უთხრა: არა გიშავსრა, ნუ გეშინია, კიდევ გნახავო, თუმცა გულში დარწმუნებული იყო, რომ ავადმყოფს მხოლოდ რამდენიმე დღე ჰქონდა კიდევ დარჩენილი ამ ქვეყნად.

— დედაშვილობას, რას ატყობ! აკანკალებულის ხმით დაეკითხა აივანზე ხანში შესული თვალცრემლიანი დედა.

— არა უშავსრა, არა უშავსრა! მძიმე ავადმყოფია, წაგრამ კიდევ შეიძლება გამობრუნდეს. წამოილაპარაკა ილარიონმა და გამოესალმა სევდისაგან გამშრალ ქალს.

ილარიონს ცივად უკბინა გულში, რადგანაც ხელის ჩამორთმევის დროს ხელში არა შერჩარა.

—თუმანს ორი მანათი უნდა გამოვაკლო! გაუელვა მას გულში.

მეორე ავადმყოფს ფილტვების ანთება ჰქონდა.

ავადმყოფის გასინჯვისა და დარიგების შემდეგ ილარიონს სთხოვეს, იარეთ და ფულს ერთად მოგართმევთო, მაგრამ მას მაინც ნაკლად დარჩა გულში, რადგანაც ნისია ვიზიტები როგორღაც არ უყვარდა.

— ავადმყოფები ეშმაკები არიან,—ერთად ყოველთვის ნაკლებს იძლევიან, გაიფიქრა მან.

მესამე ავადმყოფი--ქარებით დახუთული— იმდენად ღარიბი იყო, რომ ილარიონს აქაც ვერაფერი მისცეს.

— როდესაც ექიმს იბარებთ, ეტლი მაინც უნდა გაისტუმროთ! წარმოსთქვა გულმოსულმა ილარიონმა ეტლში ჩაჯდომისას.

— რაღა დღეს მოიყარა თავი ყველა ნისიამ და ღარიბმა! ჰფიქრობდა ის გზაში.

მეოთხე ავადმყოფი შეწუხებულიყო, ილარიონისთვის ვეღარ მოეცადნა და სხვა მოეყვანათ.

როცა ილარიონმა ოთახში ფეხი შესდგა, ავადმყოფმა ბოდიში მოიხადა: უკაცრავადა ვარ, რომ გაგსარჯეთ, ძალიან გამიჭირდა და სხვას დავუძახეთო.

— მერე მე ვეღარ შემატყობინებდით! დაიყვირა ილარიონმა, გულმოსული გამოტრიალდა და გასწია მეხუთესთან.

— ეს რა დაწყევლილი დღეა! ეტლის ფული მაინც ავიღო და სხვას ჯანი გავარდეს. ფიქრობდა ის გზაზე.

მეხუთე ჩასუქებული, ცხვირ-ლურჯა სირაჯი ნეკრესის ქარებით გამხდარიყო ავადმარჯვენა ფეხი დასიებოდა და ნიორ-ნარევ ძმარში დასველებული ტილოებით შეეხვიათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთახში ძმრისა და ნივრის სუნი იდგა.

— ნამდვილად არც ეს მომცემს არაფერს ახლა და მეტყვის, იარე ხოლმეო, ჰფიქრობდა ილარიონი და თან ავადმყოფს დასიებულ ფეხს უსინჯავდა.

— ბატონო დოხტურო! კიდევ შეგატყობინებთ, როგორ ვიქნები, და ფულს ერთად მოგართმევთ. უთხრა სირაჯმა გამოთხოვებისას.

— იქნება კი არ დაიკარგოს, მაგრამ დღეს რომ ფაიტონის ფულიც არ ამიღია ჯერ! გაიფიქრა ილარიონმა და გულდაწყვეტილი გაემართა მეექვსესკენ.

— ორი მანათი მაინც ავიღო, რომ ეტლი გავისტუმრო და ჯანაბას ამათი თავი და ტანი! ჰფიქრობდა ის გზაზე.

— ჩემი შვილი პრიკაშიკია, ახალ მაღაზიაშია და იმის ხელით მოგართმევთ ფულს, ის არ მამიკვდება! უთხრა ილარიონს მოხუცმა ქალმა, როცა მისი ავადმყოფი რძალი გასინჯა.

— რა ჩემი საქმეა, პრიკაშიკია, კვინტრიშა თუ ყვითელი კოჭი? რო ა ექიმს იბარებთ, ფულიც უნდა მისცეთ! მრისხანე კილოთი წარმოსთქვა ილარიონმა.

— მოგართმევთ, თქვენმა სიცოცხლემ და ის შვილი ნუ მამიკვდება. იმაზე ნუ გავმწარდები, მოგართმევს თავის ხელით. არწმუნებდა მოხუცებული.

— ეტლი მაინც გაისტუმრეთ.

— ისე გაბოროტებული იყო ის უბედურის შვილი, რომ არაფერი დაუტოვებია და ერთად მოგართმევთ, იმისმა მზემ.

— ყველაფერი მუქთი გინდათ, მუქთი! წამოიძახა ილარიონმა და ჩქარის ნაბიჯით გამოსწია.

— სახლისკენ! დაუყვირა მან მეეტლეს. ისეთ გუნებაზე იყო, თითქოს ის არის, უნდა გააციოსო.

მეეტლემ გაკვირვებით შეხედა და გარეკა ცხენები.

—ეშმაკმა წაიღოს ამათი ტანი! თუმანი თუნდა ჯიბეში მდებოდეს, ასე მეგონა და ეტლის ფულიც ჩემი ჯიბიდან უნდა მივსცე! ამბობდა თავის გულში ილარიონი და თან ჰფიქრობდა, რა მოეგვარებია ისეთი, რომ ეტლის ფული მაინც შერჩენოდა.

ერთბაშად მოაგონდა მოხუცი ურია, რომელსაც ის დიდიხანია, სწამლობდა. ურიას ქრონიკული ანთება ჰქონდა თირკმელებისა და ილარიონი ორ-სამ დღეში ერთხელ ნახულობდა, ყოველ მისვლაზე ურია ორ მანათს აძლევდა მას და თან ბოდიშს იხდიდა, მეტი არ შემიძლიაო.

სწორედ ეს ურია გაახსენდა ახლა ილარიონს და სახეზე კმაყოფილება გამოეხატა: ნაღდი ორი მ. ნათი ჯიბეში, ეტლს მაინც გაისტუმრებს! მართალია, ის ურიასთან წინა დღით იყო და დაჰპირდა: ორი დღის შემდეგ შემოგივლიო, მაგრამ რა ვუყოთ. ურია უკანასკნელად ძალიან ცუდათა გრძნობდა თავს, ფეხები ძალიან ჩამოსიებოდა, სახე დალურჯებოდა; ილარიონი ასე ეტყოდა: გუშინ ცოტა კარგად ვერ იყავი და დღეს იმიტომ შემოვიარეო.

—მოაბრუნე და ურიების უბანში წამიყვანე! დაუძახა მან მეეტლეს. მეეტლე გატრიალდა.

ილარიონმა თავისუფლად ამოისუნთქა. და მართლაც,—ფულს ვერ აიღებ, ჯანაბას, მაგრამ როცა არა თუ ვერაფერს აიღებ, ეტლიც შენ უნდა გაისტუმრო, შენ როგორც გენებოს და ილარიონს-კი ეს სისხლს უმღვრევდა, ბრაზსა ჰგვრიდა, მადას უფუჭებდა და მთელი ღამე რიგიანად აღარ ეძინა.

ილარიონმა გაჩერებია ეტლი და შევიდა ერთ ბინძურ ეზოში. ის ადიოდა კიბეზე, სრული დარწმუნებული, რომ ორ მანათს აქ უსათუოდ მიიღებდა, და თან ამზადებდა ახალ ტყუილს ურიის მოსალოდნელ კითხვის საპასუხოდ.

ახიებული ხალხია ეს მოურჩენელი ავადმყოფები:

სუ თავის თავზე იციან კითხვა!

ურიაც სულ თავის შესახებ ეკითხებოდა ილარიონს: უფალო დოხტურო, ეს რატომ არის ასე და რატომ ისე, ფეხი რათ სივდება, შარდმა რათ მოიკლო და სხვა და სხვა.

—ეშმაკმა იცის შენი თავი და ტანი! აბა რა ვიცი ყველა რატომ-ზე და რისთვის-ზე პასუხი? ან-კი ვინ იცის? ჰფიქრობდა ილარიონი გულში. ისე კი ურიის ყოველ კითხვაზე პასუხი მზად ჰქონდა.

როცა ურია ეკითხებოდა: უფალო დოხტურო, ფეხები რათ დამისივდა; იმიტომ, რომ ავადმყოფობა ძირს მიდისო. თუ ურიას პირისახე დაუსივდებოდა, ილარიონი არწმუნებდა: კარგი ნიშანია, ავადმყოფობა ზევით

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამოსულა და შეიძლება, სულაც მოგშორდესო.

თუმცა შინაურებს ილარიონისაგან ნათქვამი ჰქონდა: მორჩენა სათუოაო. უკანასკნელად ურია შესჩიოდა: ძალიან სუსტადა ვარო და მორჩენის იმედი აღარა ჰქონდა. მაგრამ ილარიონმა გაიღიმა და დაარწმუნა: ეგ კარგი ნიშანია, როცა ავადმყოფი მორჩენაში მიდის, სისუსტესა გრძნობსო.

ახლაც კი ურიის მოსალოდნელ კითხვებზე პასუხს ამზადებდა. აიარა კიბე, გაუხვია მარჯვნით აივანზე და შეაღო ოთახის კარი.

იატაკზე, ფარდაგზე, ვიღაც იყო გულაღმა გაჭიმული და თეთრი ზეწარი ჰქონდა გადაფარებული მთელ თავსა და ტანზე, მხოლოდ ფეხის გულებიღა უჩანდა, გარშემო რამდენიმე ქალი იყო მოფთხნილი და სახედაწუხრებული.

ილარიონმა გაიხედა ურიის ლოგინისაკენ,-- ლოგინი ცალიერი იყო.

—შენმა სიცოცხლემ, სულ შენ ხელენებაში ამოუვიდა ამ უბედურს სული! წარმოსთქვა ექიმის დანახვაზე შუახნის ქალმა და ღრმად ამოიოხრა.

* * *

დღის საბურავი—სხივით შემკული
დაუთალხია სიბნელით ღამეს;
...ზღვა მოწყენილა, ზღვა ბობოქარი,
ველარ ჰგრძნობს გულში ტანჯვა სიამეს!..
ტალღა მედგარი, ტალღა მგრგვინავი
მიყუჩებულა პიტალოს პირზე—
ზღვა გართულია ტიალ სიზმრებში,
ბრძოლას ვერ ჰბედავს კლდეთა ნაპირზე!..

ზეკით ნასროლი სხივი მთვარისა
ზღვაში ჩაიჭრა... ზღვაში თამაშობს...
. .იფეთქა ტალღამ! - სხივს ტუჩით იჭერს
ნაზადა ჰკოცნის ზეცაზე ნაშობს.
სხივი გაიჭრა! სხივი გრძნეული
ზღვაზე დასტოვა ნაკვლევი ნელი.
ღრიალებს ტალღა! ინგრევა კლდენი! —
აფორიაქდა სამეფო ბნელი...

—ასეა ჩემი გული მგზნებარე,—
ფერადოვანთა გრძნობათ მშობელი:
ხან თუ ჰყუჩს ობლად, ხან მეშინიან,
რომ არ წაპლეკოს ტანჯვის სოფელი!..

გ. ლეონიძე

სამშობლო ქვეყნის მოღვაწენი

ალ. ყაზბეგი
(1847—93)

გასული წლის დეკემბრის 10 შესრულდა ოცი წელიწადი, რაც ულმობელმა სენმა იმსხვერპლა ალ. ყაზბეგი!

ჩვენი სანდრო ყაზბეგი!

ამ სახელის წარმოთქმაზე ვის არ წარმოუდგება განაწამები მწერალი, უკვდავი მოზარე თავისი მრავალტანჯული სამშობლოისა..

სანდრო ყაზბეგის სულიერი განცდა,—ეს მისივე სამშობლოს განცდაა; მაღალნიჭიერი მწერლის ფიქრ-ოცნება,—ეს მისივე მამულის ფიქრი, ნაღველი და ოცნებაა...

გავლენიანი დედმამის შვილი, სანდრო, დაიბადა 1847 წ., იმ დროს, როდესაც მის სამშობლოს „მოწინავე შვილთა" განვლილ დროთა ქარტეხილისა გამო მამულის ზრუნვაზე ხელი აეღოთ და თვითეული მათგანი იმასღა ფიქრობდა, როგორ მოეწყო პირადი ბედნიერება ანუ რა გზით შეენარჩუნებინა გაბატონებული მდგომარეობა, თუნდა ამისთვის ამა ქვეყნისა ძლიერთა ფეხთამლოკავიც შექმნილიყო

სანდროს დიდს ფუფუნებაში ზრდიდენ, როგორც ხევის ბატონის შვილს შეეფერებოდა; უმაღლეს განათლებას აწაფებდენ, წარჩინებას ჰპირდებოდენ, მაგრამ ამასთანავე სანდროს, დედის ნანასთან, მოესმოდა კვნესა ერისა—დაკარგულ თავისუფლების გლოვის ზარი და...

სევდა-ვარამი უვსებდა გულს...

უარჰყო პირადი წარჩინება, მაღალ საზოგადოებაში „განცხრომითი ცხოვრება და მშრომელი ხალხის ტანჯვას ეზიარა...

ახალი წყობილების თანდათან დამკვიდრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა, საუკუნოებით შეთვისებულ — განმტკიცებულ ადათების რღვევა განუსაზღვრელ ტკივილებს იწვევდა ერისას...

თავისუფლების მაგიერ — კირთება!..

ყოველივე დაინახა, შეიგრძნო და საუცხოო სურათ-ხატებით გამოჰხატა...

„ელგუჯა“, „მამის მკვლელი“, „ხევის ბერი გოჩა“, „ელილო“ და სხვა მოთხრობანი მუდამ უტყუარ სარკედ და ისტორიულ საბუთად დარჩება მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს სულისკვეთებათა აღსანიშნავად...

ეს სარკე ნათლად გვიჩვენებს ჩვენის ერის ცხოვრებას, ეს საბუთი სისწორით აჭეშმარიტებს, შემოსეულთა და მკვიდრთა ურთიერთობის მარად მოურიგებლობას, როდესაც თანასწორობის წილ მძლავრობა ბატონდება, სიყვარულის მაგიერ — სიძულვილი, აშენების მაგიერ დანგრევა და მოსპობა...

სანდრო სწერდა პიესებსაც: „ქეთევან წამებული“, „არსენა“, «დილა ქორწილის შემდეგ», მისი კალმის ნაყოფია...

სანდროს ნაწერები პირველად გაზ. «დროება»-სა, ჟურ. «ივერიასა» და «ნობათში» იბეჭდებოდა; მისი ნაწერთა 4 ტომი ქართ. გამომ. ამხ. გამოსცა 1892 წ., ხოლო 1904 წ. «ცნობის ფურცლის» წლიურ პრემიად გამოვიდა სრული კრებული მის ნაწერთა, ავტორის ბიოგრაფიით და სურათით.

ყოველს თავის ნაწერში იგი მტარვალობისა და უსამართლობის სასტიკი მგმობელია, თავისუფლების მომღერალი, უფლება-აყრილთა გულდამწვარი ჭირისუფალი...

სამშობლო სცენას იგი ახსოვს, აგრედვე, როგორც მსახიობი... სანდრო თეატრის განუყრელი მეგობარი იყო და ერთგული მუშაკი 80-იან წლებში...

90-იან წლებში სულით ავადმყოფობამ შეიპყრო და დღენი თვისნი თბილისის საგიჟეთში დალია...

ერის სულისკვეთებათა ღრმა მცოდნემ, სამშობლო ქვეყნის ნაზმა მოსიყვარულემ და აღფრთოვანებულმა მომღერალმა მთელი ერის სულიერი ტანჯვა თვით განიცადა, აღიგზნო და მთელი ხალხის ტანჯვის ცეცხლში ჩაიფერფლა...

იგი გარდიცვალა 1893 წ. 10 დეკემბერს და მთელის შეგნებული საქართველოს მიერ ცრემლდაფრქვეული მთაში — მამა პაპათა აკლდამაში — დაიკრძალა...

მაგრამ ის არ არის მკვდარი!..

ვისაც სიმართლის ძიება, უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლა, ჩაგრული ხალხის გამოსარჩლება, თავისუფლებისა, თანასწორობისა და მაღალ სიყვარულის გავრცელება მიზნად დაუსახავს, მის გულში სანდრო ყაზბეგიც მარად იცოცხლებს, მის წინამძღოლელ შუქურ ვარსკვლავად იქნება და ვიდრე სანდროს სამშობლოში ძალმომრეობა, უსამართლობა, ხალხის ჭეშმარიტ მოთხოვნილებათა უპატივცემლობა იპარპაშებს, არც მისს — ალ. ყაზბეგის — ბასრ სიტყვას დაეკარგება ძალა... ი—ი



მთის ზღაპარი

მაღალ მთის წვეროზე მღვიმესავით შეჯგუფებულს, მადლიანად შეფოთლილს ბუჩქებ ქვეშ, ძველად ჩუხჩუხებდა წყარო, მზე აბანებდა თავის მხურვალე სხივებს მის გრილს ქალწულ წყლებში, და გულადნი ჯიხვნი უდარაჯებდენ მათ თავისი შეუპოვარი რქებითა.

მოჩუხჩუხებდა წყარო მთლად ტიტველი, რადგან არა გრძნობდა ჯერ თავის საკუთარს სიმშვენიერეს; მოჩუხჩუხებდა წყარო მხიარულად და მხიბლავი ენით დაუღალავად უამბობდა მსმენელს ზღაპრებსა. მაგრამ ვინ იყო მის მსმენელი მრისხანედ დადგმებული კლდეთა, ფერ-მკრთალ მცენარე და უკვდავი მზის სვეტების გარდა? ან ვინ იყვნენ გმირები ამ ბოლო-მოუღებელ ზღაპრებისა?

აქ იკლავდა წყურვილს არა ერთი მხნე ოჯახის დედა, მიზიდული წყაროს ქალწულობით, მისი მშობლური ზღაპრებით; და აქ გაგონილი ზღაპრები როდი დამარხულა მათ გულში: ბევრჯერ უმღერიათ ეს ჰანგები ნანას მაგიერ ძვირფასი შვილებისათვის და გაუღვიძებიათ მათ ნორჩ არსებაში სიყვარული სილამაზისადმი.

ნუ თუ ეს ზღაპრები გუნდრუკს უკმევდენ მზის ასულს ნესტანს და მზის წილს ტარიელსა? უკმევდენ, და ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან დრო იყო მათი და მათთან განუყრელ ზღაპრულ სილამაზისა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

განვლო ხანმა... დაშრა წყაროო, მიეცა ძილს და სამუდამოდ ჩაიტანა საფლავში უთვალავი ლამაზი, უთქმელი ზღაპარი. შესწყდა მხიბლავი მშობლური ჰანგები...

ნუ დაიძებთ ახლა წყაროს მთის წვეროზე! დაბლაა იგი, ყველასთვის ადვილად მისაწვდომი; მაგრამ აღარ ჩუხჩუხებს ძველებურად, მის წყლებს აღარ ეთამაშებიან უმანკო მზის სხივები, და არ დასტრიალებენ საპატიო დარაჯნი...

დაიმსხვრა ლამაზი თიხის კოკა, და მისი ადგილი დაიჭირა უშნო რკინის ჭურჭელმა...

დავ. კილოსანიძე

მონა-ქალი

სიტყტხლისა ეგვიდი, მადლით გაბრწყინებული,
სამოთხის ბალნარითა სოფლად მოგდინებული,
გრძნობის ტეტხლით მოსილი, ზეციური ხატება,
ენების შუქ-შეფრქვეული, ღმერთს რომ აღემატება,
ვის გინახავს? ვინ არის, რომ კვლაკავს ტრფიალითა?
ვის ვუტქერით მარადის სიყვარულის თვალითა?
ვინ არის რომ გიგრთობთ ძიდს, ძმებო, დღით და ღამითა,
ხან ნექტარსა კასმეფთ ტკბილს, ხან კამწარებთ შხამითა?
ნუ თუ არ გიფიქრიათ: ვინა კეკეებავთ სულითა?
დაცემისა წუთებში გმოსავთ სიხარულითა
და, თვითონ-კი, თქვენგანვე, თითქოს შესაბრალია?
—თქვენგან დამტირებული იგი—მონა ქალია!

გინახავთ თქვენ მშობელი ტანჯვით ჩონჩხად ქცეული,
სნეულ ერმისა წინაშე, რომ იდგა ვით ეული,
და აკვანსა უძიდო, ვით მანქანა, არწევდა,
შეჰკვნესოდა „დედიდო„-ს და ტრემლებსა აფრქვევდა?
გინახავთ ის მშიერი, რომ შეიდისთვის ზრუნავდა,
დილით-საღამოდისინ ტიბრუტეფით ბრუნავდა,
ვინც ცხოვრების ბრწყინვალეში სანთელივით დნებოდა,
მომავლისთვის იღვწოდა, ქვეყნისთვისა კვდებოდა?
გიგრძენიათ თქვენ შერე ის, რასაც ის განიცდიდა?
მოგიხრიათ თქვენ ქედი ისე, ვით ის იხრიდა
და, მტირე მოგიხდიათ მასთან თქვენი ვალია?
—მაგრამ, რად ‘ესწუნდებით, იგი—მონა-ქალია!

მითხარ: ოფინა რა არის? უკვდავება რაშია?
რით ვსულდგმულობთ, რა განძსა ვხედავთ ცხოვრებაშია?
როცა ცხარე ოფლსა ვღვრით, მაშინ რა გვაგონდება?
მარტოობასა როცა ვგრძნობთ, გული რათა დონდება?
რა გვაკლია? რა გვიხსნის: ქონება, ‘ა თუ ფეღება?
ვის წინაშე ვქადაგებთ, როგორც მოციქულები?
რისთვის ვიკრეხთ ულვაშებს, ვიტქერებით სარკეში?
ვის ვუპირებთ ჩაორეკვას ჩვენი გრძნობის მახეში?
ან, ვით ხატის წინაშე, გრძნობდ კარდაქცეული,
ტრფობასა ვის ვეფიცებით, ვისთვისა ვართ სნეული?
ვინ არის, რომ სიტყტხლის, უკვდავების თვალია?
—თქვენგან დაჯანებული, იგი—მონა-ქალია!

ეური მიგდე, ჩემო ძმავ, გითხრა სიტეკვა მართალი,
მრუდე არის ეს ჩვენი შექმნილი სამართალი:
ვეძებთ თავისუფლებასა, გვინდა ზეშმარიტება,
მაგრამ, სადაც ჩვენა ვართ, იქ ქადი გვაფიწედება!
ჩაგიხედავს შენ განა ამის გრძნობის სიღრმეში?—
ეკვიდები ნათობენ ქადის სულის სივრცეში!
ის ნაზია, ვით ია, ბეჩქის ძირს განაბული—
ჩვენი ჩრდილით დამჭკნარი, ტრემლებით დანამული...
მათ არა აქვთ უფლება, მათ სიტყტხლით კრძალვენ,
ამიტომაც ისინი გულში შურსა ‘ამალვენ
და, თუ ხშირად გიმუხთდებს, განა მისი ბრალია?
—თქვენგან დამტირებული, იგი—მონა-ქალია!

ნ. ჩხეიძე

რომანსი

ვერ მოგითმინე და მეც ხელით შეგეხე ფოთხიალად,
შენ რისთვის შეკრთი, გეუტხოვა ჩემი სურვილი?
მახსოვს ბულბული გვიკვლობდა ნარნარად, ტკბილად
და თავს გვიხრიდა სიხარულით ტურფე ავვიდი.
მისი სალამი მისებრ ტურფა, გულს ნათელს ‘ფენდა,
შენ კი მოსწყვიტე და დაგდე იქვე ძალათა...
არ შე დამინდე, არც ეგების ნორჩი ეკვიდი,
მოგდინებულმა შემოდგომის ნიავ-ქარათა...

ქნარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სინათლე

ზღაპარი-ფეერია

მოქმედება პირველი

სურათი II

დარბაზი სასახლეში. უკან დიდი ფარდა, რომლის უკან ბავშვების ოთახია. ამ ოთახის იატაკი ცოტათი მაღალია, ვიდრე იატაკი დარბაზისა და აქვს კიბე. კიბეს აქეთ-იქით თითო დარაჯი სდგას. დარბაზში მარჯვენივ მეფე-დედოფლის ტახტია. მეფე-დედოფალი ტახტზე სხედან, ორივ მხრივ ჩამწკრივებულან კარის-კაცნი და დიდებულნი, მათ შორის ვეზირი.

მეფე. (ვეზირს) ხომ აუწყეთ ხალხს ჩვენ-ბედნიერება?.. ხომ კარგად უმასპინძლდებით ხალხს? ნურას დაზოგავ. სიხარული და ბედ-ნიერება ჩვენი უსაზღვროა ღა გვსურს ხალხმაც გაიზიაროს იგი...

ვეზირი. დიდებულო მეფევ! ეს ერთი თვეა, რაც დაგლოცა უზენაესმა და დედ-ოფალს ორი ვაჟი შვილი ეყოლა და ამ დღი-დან ხალხის სიხარულს საზღვარი არა აქვს, ლხინობენ და შეჰხარიან ახლად დაბადებულს მეფის შვილებს. სარჩო-სანოვაგე უხვად აქვთ... ღვინო, პური ულეველი, შენი წყალობით...

მეფე. აგრე, აგრე ყველას უხაროდეს... ჩვენი სურვილია, რომ ჩვენს სამეფოში ყველა ჩვენსავით გახარებული და ბედნიერი იყოს... შემოიყვანეთ ახლა დესპანები (კარის-კაცი გა-დის. დედოფალს) ჩემო ძვირფასო, ჩვენი პაწ�bი როგორ არიან?

დედოფ. ნამდვილი ანგელოზები არიან... გარდა ორი ძიძისა თითო ბავშვს ორ-ორი საუკეთესო გამდელი მივუჩინე... დარაჯები მუ-დამ სდარაჯობენ,—ავი თვალი არ ეცეთ.

მეფე. ყოველ მხრიდან თესპანები მოდიან მოსალოცად. (შემოდიან დესპანები ამბავით და სიჩუქრებით).

პირ. დესპანი. დიდება და დიდებულობა სახელოვან მეფე ჯიმშერს! უფალმა გიკურთხოს მარჯვენა და ბედნიერად გიცოცხლოს ოჯახო-ბა! შენი ძმა და მეგობარი, ჩვენი დიდებული მეფე ასლანი, სალამს გიძღვნის, გილოცავს ვაჟიანობას და გისურვებს ყოველგვარ სიკეთეს.

მეფე. გმადლობთ, დესპანო! დარწმუნე-ბული ვარ, რომ ჩემი ძვირფასი ძმა და ერთ-გული მეგობარი მეფე ასლანი იზიარებს ჩვენს ბედნიერებას. ჩვენი უღრმესი მადლობა გარდა-ეცით მეფე ასლანს. (პირველი დესპანი გადგება განზე).

მეორე დესპანი. სალამი და გამარჯვება დიდებულ მეფე ჯიმშერს! მიიღე, ქვეყნის მზეო, გულწრფელი სალამი და მოლოცვა ჩვენი დი-დებული მეფის და შენი ერთგულის ძმის მეფე დურმიშხანისა. უფალმა გაგიზარდოს ისეთი შვილები, როგორიც შეჰფერის შენს დიდებას და სახელს. გაუმარჯოს მეფე ჯიმშერს ოჯახო-ბით!

მეფე. გმადლობთ, დესპანო! ჩვენს ძმას და მეგობარს სახელოვან მეფე დურმიშხანს ჩვენი უღრმესი მადლობა. უზომოა ჩვენი სი-ხარული და ბედნიერება და იგი ორკეცდება თქვენის თანაგრძნობით. ძვიელ ვწუხვარ, რომ ვერ გვეწვივნენ თვით მეფენი ასლანი და დურ-მიშხანი.

ორივ დესპანი. ძვიელ ჰსურდათ, მოწა-დინებულნი იყვნენ, მაგრამ მოგეხსენებათ, მე-ფევ, უგზოობა... ჩვენც ძლივს მოვახწიეთ...

მეფე. მიიწვიე, ვეზირო, დესპანები... გაუმასპინძლდი, როგორც შეჰფერის მათ ღირ-სებას... დესპანებო, გიწვევთ ხვალ ნათლობა-ში. (დესპანები თავს უკრავენ და გადიან ვეზირთან ერთად).

პირ. კარ. კაცი. დიდებულო მეფევ! შიკრიკი გიახლათ.

მეფე. შემოიყვანეთ (პირ. კ. კ. გადის) ბა, ვნახოთ რას გვახარებს შიკრიკი. (შემოდის შიკრიკი).

შიკრიკი. ჩვენო დიდებავ! ბრწყინვალე გა-მარჯვება! ფეხდაფეხ მომდევს და სადაცაა გაჩნდება შენს წინაშე ძლევამოსილი შენი სპა-სალარი. როსტომ მეფე სასტიკად დამარცხდა, ხელთ ვიგდეთ მთელი მისი ბანაკი, აუარებელი ხალხი დაუტყვევეთ.. ძვირფასი ნადავლით და ტყვეებით გამარჯვებული შენი ჯარი ბრუნდე-ბა სამშობლოში.

მეფე. ასი ოქრო შიკრიკს! (ამ დროს მოისმის მუსიკა და ხორო: „ქორთველო ხელი ხმალს იკრ...“)

ყველანი. გაუმარჯოს მეფეს! მეფეს გაუ-მარჯოს! (შემოდის დროშით ხელში სპასალარი, თან ახლავს ამალა. სპასალარი მიეკ, დაუჩოქებს მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეს და ჩაბარებს დროშას. სიმღერა სწყდება).

მეფე. (ბუენებს სხასლარს და გადახვევა). გმადლობ, ჩემო დიდებულო გმირო! ძვირფასი საჩუქარი მიძღვენი.

სპასალარი. დიდებულო, ხელმწიფევ! სასტიკად და საბოლოოდ დამარცხებული როსტომ მეფე მოწიწებით შერიგებას ითხოვს...

მეფე ვაპატიებთ, ვაპატიებთ... (შემოდის ვეზირი) დააბინავე, ვეზირო, დესპანები?

ვეზ. დიაღ, მეფეო!

მეფე. გიწვევ, სპასალარო, ნათლიად... გავაჩაღოთ ხვალ ნათლობა... შენ დაანათლე შენი ნიკი, გულადი გული, მტრისათვის მძიმე მარჯვენა...

სპასალარი. არა ვარ ღირსი ეგოდენ წყალობისა, ხელმწიფევ!

მეფე. ღირსი ხარ და ღირსეულად გა-



ფერიები აკვნებთან

ჯილდოვებ! ახლა, ვეზირო, გაგვიმასპინძლდი. დაღლილ სპასალარს და ჯარს მოშივდებოდათ და მოსვენებაც სჭირიათ. (მეფე ამბობს, ვეზირი, სხასლარი გადიან. სცენაზე რჩება დედოფალი ორიოდ მხლებელი ქალებითურთ.)

დედოფ. (ადის ბავშვების ოთახში. დარაჯები აქეთ-იქით ფარდას გასწევენ. ოთახში ორი აკვანი ბავშვებითურთ. ბავშვებს ახლავან ძიძები და გამდელები. დამდება. ბავშვების ოთახში ცისფერი სინათლეა. დედოფალი მიგა ჯერ ერთს ბავშვს აკოცებს. მერე მეორეს).

დედოფ. ჩემო გვრიტებო, ჩემო ანგელოზებო! (ჩამოდის ისევ დარბაზში. (დარაჯებს) კარგად უდარაჯეთ. თვალყური აღევნეთ...

პირველი დარ. ნურას შესწუხდები, დედოფალო, ბუზსაც კი არ გავიფრენთ.

მეორე დარ. ჩვენი მეფის შვილები. ჩვენი თვალის ჩინია... ნეტავი არ მინდა მიეკაროს ვინმე...

დედოფ. ფარდები ღია იყოს, ჰაერი იმოშავებს. (დედოფალი მხებლებით გადის. ბნელდება, დადამდა. გამდგები გადან უკანა კარებიდან. ძიძები მიწვებიან ტახტზე.)

პირველი დარ. (ამოქნარებს) ო-ხ, რა რიგად მეძინება, ეს მეორე ღამეა არ მძინებია... ბიჟო, მე ცოტას ჩავთვლიმავ... შენ უდარაჯე. მერე გამაღვიძე: ახლა მე ვუდარაჯებ და შენ ცოტა ჩაიძინებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე დარ. ეგრე უყოთ... სასახლეს გარშემო დარაჯები არტყია და ვის შემოუშვებენ?..

პირვ. დარ. (ჩაეკეტვის კიბესთან, ამოიოხრებს და ჩაეძინება).

მეორ. დარ. (ტოტა ხანს სდგას, მერე კიბეზე ჩამოჯდება, ჩადუნავს თავს და იმასაც ჩაეძინება. ტოტა ხნის შემდეგ ამოძვრება იატაკიდან **დავრიში**, წავა ჯერ ბორგედ დარაჯს შემოაჯდების თავზე ხელს, მერე მეორეს; შემდეგ ადის ბავშვების ოთახში, ჯერ ერთს დაატქერდება. მერე მეორეს და ამ უკანასკნელს შუბლზე თითს კაუსვამს. წამოვა, ჩამოვა დარბაზში და ჩაძვრება იატაკში. ამ სტენის დროს დავრიში წითელის სინათლით არის განათებული... გაიღება უკანა კარები, შემოტვივდებიან ფერიები. კარს შემოერტყმიან აკვნებს, უნიავებენ ლეჩაქებს და ნანას დამღერიან, თან სრიალებენ. ნაზი მუსიკა).

პირიმზე. (დაატქერდება ბავშვს, რომელსაც დავრიშმა ნიშანი დაადო) უიმე, ფერიებო!.. ვგონებ დავგვიანებულვართ. ამ პაწაწას ეშმაკის ნიშანი ადევს...

მთვარია. უი, საცოდავი! მერე რა კარგია...

ბროლისახე. როგორ იღიმება ძილში...

ნათელა. შენი გულისა, ტუჩებს აცმაცუნებს...

წკრიალა. ძუძუს ეძებს...

ანკარა. ბედშავი! უნდა უშველოთ როგორმე.

პირიმზე. კარს შემოერტყით, ფერიებო, შევულოცოთ... მერე ლეჩაქებით მოვწმინდოთ შუბლი და ნიშანი გაქრება, ეშმაკს ძალა მოსცილდება...

ფერიები. (უკლიან კარს).

შავ-ბნელო ძალნო,
შხამით სავსენო,
ნუ ერჩით ბავშვსა,
იგი წმინდა არს
ჩვენია ხვედრი...
ჯურღმულის მმკვიდრნო,
ეშმაკის კერძნო,
წარვედ გაჰქრენით,
ქვესკნელს ჩავარდით!

პირიმზე. (დეჩაქით უწმენდს ბავშვს შუბლს) აი, წარიშალა ქაჯის ნიშანი... ახლა კი დროა, დრო, ვგონებ ძიძა იღვიძებს... წავიდეთ. (ერთხელ კიდევ შემოუვლიან და უკანა კარებიდან გავდენ. ნაზი მუსიკა).

ფ ა რ დ ა

მუშის სიმღერა

შრომაა დიად სხივთმფენი
მაღალ, ზეკაცად ცნობილი:
შრომით იცხოვრებს მარადის
ყოველი კეთილშობილი.

ვისაც რომ შრომა არ უყვარს,
თავისი ოფლით დარჩენა,—
ბარგია საწუთროისა,
კრულ იყოს მისი გაჩენა!

რას ვაქნევ სპეტაკ ხელებსა,
თუ პირი მექმნის შავია,
არ შევიყვარებ მე მასა,—
არ მოკვდეს ჩემი თავია!

ხორცი ვასუქო, ვალაღო,
სული დავაგდო ობლადა,
ვით ტვირთი, ვირთა საზიდი,
ვეთრიო ამა სოფლადა!

როდი ვარ სვავი პირღია,
სხვის ოფლით ვიკვებებოდე,
სხვისა ტანჯვა და წამებით
მხეცი მხეცურად ვსტკბებოდე!—

კაცი ვარ, ადამიანი,
ჭკუით მაღალი ცხოველი,
უნდა ვშრომობდე დღე-ღამეს,
გულ-მკერდი მქონდეს სოველი.

რომ გამოვკვებო ცოლშვილი
მე ჩემის ნაოფლარითა,—
არ მომიგონოს მყობადმა
მქისადა, სიტყვა მდარითა!..

გ. შინატეხელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამსახურებული ქურუმი



კოტე ყიფშიანი

ამა წლის 26 იან. ქართ. დრამ. სახ. კომეგობის თაოსნობით ქართველმა საზოგადოებამ 45 წლის იუბილე გადუხდა ქართულ სცენის ერთ საძირკვლის ჩამოდებისაგან—კოტე ყიფშიანს.

შესანიშნავი ამბის — დიდი დამიტრის — შვილმა სიერმადნვე შესდგა ფეხი ჯერ კიდევ დუმკვიდრებულ სცენაზე და ნახევარი საუკუნის განმავლობაში ერთგულად მსახურებდა სამშობლო სცენის საკურთხეველში.

სცენის გარდა მწიგნობრობაშიაც მონაწილეობდა: დასწერა რამდენიმე პიესა, სხვადასხვა შინაარსის წერილი, შედგინა სამეცნიერო წიგნები და სხვადასხვა ლექსიკონები.

კოტე ყიფშიანის შესახებ ბევრი დაწერა, ცალკეც გამოიცა მისი ცხოვრება-მოღვაწეობის აღწერა, ივ. კობრთლის მიერ დაწერილი, და აქ აღარ კვიმეორებთ უკვე თქმულსა, ვიტყვით მხოლოდ, რომ კ. ყიფშიანმა დიდი სამსახური გაუწია სამშობლო სცენას, რამდენიმე თავგამოდებულ მსახიობ-მოღვაწესთან ერთად მკვიდრი საძირკველი ჩაუყარა ქართულ თეატრსა და მით ქართველი ხალხის კაოვიოცნობიერებას ხელი შეუწყო.



ქართულ სცენის მოღვაწეთა ყრილობა

—

ქართულ თეატრის ასპარეზის გაფართოებამ საუტილებელეფო სრულიად საქართველოს სცენის მოღვაწეთა ერიდობის მოწვევა. ამ საგნის თაობაზე ჯერ კიდევ 1910 წ. არა ერთი და ორი წერილი მოგვითავსებია ჩვენს ჟურნალში. სხვათა შორის, მაშინდელმა ქართ. დრამ. სახ. კომეგობამ დაადგინა: მოიწვიოს ქართულ სცენის მუშაკთა და დრამატიულ საზოგადოებათა წარმომადგენლების კრება და დრამ. სახ. კომ. მაშინდელმა თავმჯდომარემ, ბ. პარ. გოთუამ, ამ საგნის შესახებ მოხსენებაც კი წარუდგინა დრ. საზოგადოების საზოგადო კრებას (იხ. „თეატრი და ცხოვრება“ 1910 წ. № 7). აქვე მოგვაქვს ამ მოხსენებიდან გეგმა, თუ რა უნდა გაკეთებინა მაშინ განძრახულ კრებას:

1. სცენის მუშაკთა და დრ. საზოგადოებათა წარმომადგენლების კრება უნდა გაიმართოს ქ. თბილისში მომავალ სეზონის დაწყებამდის, დაახლოვებით მაისის დამლევამდის ან ივნისში.

2. კრებაზე მონაწილეობას იღებენ გადამწყვეტის ხმით, როგორც მუდმივი დასის, ისე სცენის მოყვარეთა ჯგუფის და დრამატიულ საზოგადოებათა წარმომადგენლები. თითო ორგანიზაცია გზავნის კრებაზედ ერთიდან სამს წარმომადგენელს.

3. კრების საგანი: უნდა განხილულ იქმნას დაახლოვებით შემდეგი კითხვები:

ა) სასურველია, რომ იყოს ერთი ცენტრალური ხელმძღვანელი ორგანო მთელის საქართველოსთვის, თუ ყოველ კუთხეში არსებობდეს სრულიად დამოუკიდებელი ცალკე საზოგადოება. და თუ სასურველია, როგორ უნდა მოეწყოს ეს ცენტრალური ორგანო და რა დამოკიდებულება უნდა იყოს ცენტრალურსა და პროვინციის ორგანოებს შორის.

ბ) რა საზოგადო წესი და პირობები უნდა იყოს შემუშავებული არტისტებისათვის.

(გ) რეპერტუარი ორიგინალური და თარგმნილი.

დ) რეჟისორის, მისი თანაშემწისა და სცენარიუსის საკითხი.

ე) სკოლა არტისტებისათვის

ვ) დრამატიული ხელოვნების ორგანო — ჟურნალი.

ზ) საპენსიო თანხისა და კასის დაარსება.

ი) სხვა და სხვა კითხვები, რომელინიც-კი შეეხებიან თეატრს, სცენას, მის მუშაკთ და პიესებს.

4) კრება გაიყოფება სექციებად. წაიკითხავს ამ საგნებზე რეფერატებს და შემდეგ საერთო კრებაზე გამოიტანს თავისს რეზოლიუციებს.

ამ კრების მოსაწვევ პროგრამის შესამუშავებლად საზოგადო კრებამ კომისიაც აირჩია, მაგრამ საქმე დავიწყებას მიეცა. წელს ახალმა კომეგობამ კვლავ განაძრახა საზოგადო კრების დადგენილების სისრულეში მოყვანა, შედგინა პროგრამა და ახალი კომისიაც აირჩია (იხ. „თეატ. და ცხოვ.“ № 1). ქართ. სცენის მოღვაწეთა კრების მოწვევას ფრიად დიდი მნიშვნელობა ექნება ქართულ სცენის მოღვაწეთა, თეატრისა, დრამატ. მწიგნობრობისა და ჩვენი საზოგადოებრივ ცხოვრების წინსვლისთვის. ჩვენ შემდეგ ხელახლად დავუბრუნდებით ამ საგანს, ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟამად კი ვუსურვებთ ქართ. დრამ. საზ. კომეგობას საზოგადო კრების დადგენილება, პროვინციალურ სტენის მუშაკთა მოთხოვნა და პრესის სურვილი არ დაეტოვებინოს ,,ხმად მდაბადებელთასად უდანოსა შინა". ამისათვის არ უნდა მოერიდოს არავითარ ხარჯს. სასურველია ამ ეროდობასდაესწროს ჩვენის ქვეყნის ეოველი კეთილი სტენ. მოდვაწეთა წარმომადგენელი.

ქართული წარმოდგენების საქმე

ქუთაისში

საქართველოში ქუთაისი ერთად-ერთი ქალაქია, რომელიც ჯერ-ოთ მხოლოდ ქართველებითაა დასახლებული. თუ სადმე საქართველოში აღორძინებისა და წინმსვლელობის ნიშან—წყალი უნდა ემჩნეოდეს,, ქართულ კულტურას'' ეს ყველაზე ძლიერ ქუთაისში უნდა გამოსჩანდეს. საუბედურად ქუთაისი ქართული კულტურის აღორძინებაში ბევრ სხვა-და-სხვა ეროვნებათა ხალხით აჭრელებულ მეზობელ ქალაქებს ჩამორჩა. მე აქ არ შევეხები დაწვრილებით ქუთაისის საერთო კულტურის ეილაჯობას, შევჩერდები მხოლოდ,, ქართულ წარმოდგენების საქმეზე''. ვინ არ იცის,თუ დღევანდელ პირობებში რა შევიწროებას განიცდის მშობლიური ქართული ენა, მას ფრთის გასაშლელი ასპარეზი ყველგან შეზღუდული აქვს, განდევნილია სკოლიდან, სასამართლოდან, ყოველგვარ სახელმწიფო დაწესებულებიდან და საზოგადო დაწესებულებებში მისი ხმარება შეზღუდულია, ერთად-ერდი ალაგი, სადაც ქართულ ენას მოქალაქობრივი უფლება აქვს მინიჭებული, ეს **ქართული თეატრია**. ვინც ქართულ კულტურას და მის ამაღორძინებელ ენას იცავს და ემსახურება, მან ხელი უნდა შეუწყოს ქართულ თეატრის აღორძინებისა და აყვავების საქმეს. საუბედუროდ ქუთაისში ჩვენ ამას ვერ ვამჩნევთ.

გასულ წელს ქუთაისს ქართული წარმოდგენების სეზონი არ ქონია. რა იყო მიზეზი, რომ ქუთაისი, რომლის მკვიდრთა 99½ % ქართველებისგან შესდგება, გასულ წელს ქართულ წარმოდგენებს იყო მოკლებული? ბევრი ამის მიზეზად ქუთაისის დრამატიულ საზოგადოებას და მის გამგეობის მოქმედებას თვლის. დრამატიული საზოგადოების დამადანაშაულებელნი, რომ ქუთაისი გასულ წელს ქართულ წარმოდგენებს იყო მოკლებული, არ არიან მართალნი. მე ამ ოთხი წლის განმავლობაში სისტემატიურად ვადევნებდი თვალ-ყურს წარმოდგენების საქმეს ქუთაისში. დრამატიულმა საზოგადოებამ და მისმა გამგეობამ დიდი ენერგია დახარჯა, რომ წარმოდგენების საქმე რიგიანად დაეყენებინა. გამგეობის შრომამ ნაყოფი გამოიღო: 1910—11-12 წლებში საზოგადოებას შესანიშნავი დასი ყავდა და ამ წლებში თეატრში მოსიარულენი წარმოდგენების მწყობრი და რიგიანი დადგმით სრულ ესთეტიურ კმაყოფილებას განიცდიდენ.

წარმოდგენების რიგიან დადგმამ რიგიანი ხარჯის გაღება მოითხოვა; რიგიანი ხაჯების დაფარვას კი ჩვენ ჯიბე სქელ ,,მამულიშვილების'' თანაგრძნობა ესეპირობოდა. საუბედურად თავის მოღვაწეობის სამი წლის მიმდინარეობაში სწორედ ქართული თეატრი ზემო-აღნიშნულ პირთა ჯერ-ოვან თანაგრძნობას იყო მოკლებული და აი ამ თანაგრძნობის სისუსტემ დაასამარა ქუთაისში ქართული წარმოდგენების საქმე. ჩვენს ინტელიგენციას თავი ერის ,,მარილ ად'' მოაქვს. სიტყვით თავი ერისა და ენის დაცვაში მას ვერავინ ვერ შეეცილება, სამეთ-კი ის პირველი გაურბის ყოველივე ქართულს და თავს აკედლებს იქ, სადაც ბედნიერად და მყუდროდ ეცხოვრება. ქართველ ინტელიგენტისას ვერ ნახავთ (ეს არ ითქმის დემოკრატიულ ინტელიგენციაზე). ქარულ გაზეთს, იშვიათად ქართულ წიგნს; ვერ გაიგონებთ ქარულ ,,ინტელიგენტის'' ოჯახის წევრის „მადამ" და „მადმაზელიდან" ქართულ ენას; ქართველი ვაჭარიც თვისი ოჯახობით დაბინძეგებული რუსულით რჩეობენ ქართულად დალაგებულ ლაპარაკს. მიუხედავად მათი ზემო აღნიშნულ ყოველივე ანტიქართველური თვისებებისა, ისინი მაინც მშობელ ერის მარილად ითვლებიან და, თუ შენ საკაცობრიო იდეალებზე ალაპარაკდი, ეს უმსგავსო ,,შვილნი თავისი ერის-სამშობლოს მოდალ.ტის ,,იარლიკს'' მოგაკრავენ. სწორედ ქართულ წარმოდგენებს ქუთაისში ეს ერის მარილი გაურბოდა. ქართულ წარმოდგენებს ქუთაისში მხოლოდ მუშები, ნოქრები და მოსწავლე ახალგაზდობა ესწრებოდა; პარტერი, ლოჟები, ფასიანი ალაგები მარად ცარიელი იყო, მახსოვს, ოდესაც რომელიმე რუსული დასი, ღირსებით ქართულ დასზე მდარე, ქუთაისს ესტუმრებოდა მსხვილი ენტელიგენციის სახით ჩვენი ,,მამულიშვილები'' ოავიანთ მეუღლე-ქალიშვილებთ ლოჟებში გამოიჭიმებოდენ და, როდესაც ჩვენი სცენის მნათობნი გასტროლებზე მოდიოდენ ქუთაისში, თითქო ,,ბოიკოტს'' უცხადებენო, ერთი არ გამოცხადდებოდა ქართულ წარმოდგენაზე. ჩვენი ერის კი, როგორც ვიცით, ,,მარილის'' ასეთმა გულციობამ, ერთი წლით ქუთაისის სცენიდან ტკბილი დედა-ენის მოსმენა აღკვეცა, მარა იმედი გვაქვს მომავალ წლიდან ქუთაისისს ისევ ექნება ქართული წარმოდგენების სეზონი. გადაგვარებული ინტელიგენცია მიდის, მასში უარყოფილია ყოველ გვარი მშობლიური,—გზა მშვიდობისა!! სამაგიეროდ ხალხში, დემოკრატიაში ღვივდება ეროვნული კულტურისადმი პატივისცემა- დრამატიული საზოგადოებაც ამ შემოხვევაში ხალხს უნდა დაეყრდნოს ქუთაისში ქართული წარმოდგენების საქმის მკვიდრ ნიადაგზე დასაყენებლად.

ილია ბახტაძე

ს. გ. პეპანოვი

(ბენეფისის გამო)

ხუთშაბათს, 20 მარტს, ხარფუხის სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის რეჟისორის ს. პეპანოვის ბენეფისია.

ს. პეპანოვი 1912 წ. ხარფუხში მიიწვიეს, სადაც დიდი შრომა დასჭირდა წარმოდგენების დადგმაში—ოფველ ორკვირაში ერთხელ იმართებოდა წარმოდგენები. მისმა მუყაითობამ ხარფუხის თეატრს ნიადაგი მოუპოვა ხალხში და ახლა კვირაში ორჯელ თუ ორა, ერთხელ მაინც იმართება სახალხო წარმოდგენები, რასაც ეოველთვის მრავალი საზოგადოება ესწრება და ნასიამოვნიც ბრუნდება.

ბ-მა პეპანოვმა საზოგადოების ყურადღება დაიმსახურა განსაკუთრებით ,,მსხვრეპლი''-ს, ,,ქრისტინეს, ,,უდანაშაულოდ დასჯილნი''-ს, ,,რაც გინახავს ვეღარ ნახავ''-ის და ,,ორი ობოლი''-ს ხელოვნურად დადგმით.

თვით პეპანოვი ცნობილია, ვითარცა მსახიობი-სტენის მოყვარე: განსაკუთრებით ხელოვნურად თამაშობს ნეზნამოვს, ჟადოვს, პიერს, ჰეერტს და კაიოზს.

20 მარტისთვის თავის საბენეფისოდ აურჩეია ,,დღენი ჩვენი ცხოვრებისა“ და თვით ასრულებს გლუხოვცევის როლს. იმედია ბ. პეპანოვს საზოგადოება ჰატივს სცემს ბენეფისზე დასწრებით.

თეატრი—მწერლობა—ხელოვნება

დ. სამტრედია.—ჩვენი ხალხი თანდათან ეჩვევა თეატრში სიარულს, ტუობილობს, რომ ერთად-ერთი გონებრივი საზრდო ქართულ თეატრს შეუძლიან მისცეს. იცის, რომ მხოლოდ ის დაუხატავს ცხოვრების სხვადასხვა გვარ სურათებსა და ამიტომ სიამოვნებით ესწრება წარმოდგენებს, რისთვისაც არ ჭზოგავს თავისს წვლილს.

სამტრედიის წ. კ. გ. ს-თან ამ ოთხი თვის წინად დაარსდა წარმოდგენების მმართველი სექცია; რეჟისორად მოიწვიეს მსახიობი—ალ. ჯაუელი, ხო-

ლო სექტიის თავმჯდომარედ—ბ-ნი გ. გვარამაძე, რომელიც მაშინვე ბეჯითად შეუდგა თავის მოვალეობის აღსრულებას: სექტიის დარსების დღიდან მან გამბრთა ოთხი წარმოდგენა (ყველა ხახალხო—ითა-თვსიანი) და ოთხჯერვე, მიუხედავად ამისა, რომ ცუდი ამინდები შეესწრო, ხალხი მაინც საკმაოდ დაესწრო.

კვირას, 2 მარტს, აქაურ სკინის კზის თეატრში დასდგეს ავგ. ტაკარდის 3 მოქ. კომ. „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ". ბიესა მშვენიერად ჩაატარეს. შეფარებელი იყო—ბ-ნი ჯაუელი (ჯოტაია), გ. სიხარულიძე (ავეტიქა) და სარდელი (მოურავი); კარგები იყვნენ: ქ-ნი ჩუბინაშვილი (კატინა,—როდლფი უტაბელათ გამოვიდა და მაინც საუტეხოდ ითამაშა), ი. შენგელია (დავითი), გ. ანდღულაძე (ზაქარია), ვ. ტხვილიანი (სოსანა), გ. კვარამაძე (გიორგა) და ხელაია (საქმა); დანარჩენნიც ხელს უწყობდენ. ამის შემდეგ დასდგეს ვ. გუნიას თავდ. „არც აქეთ, არც იქეთ", კარგად შეასრულეს თავთავისი როლები: ა. ჯაუელმა (აქტიორი), სარელმა (ებრაელი), ვ. ტხვილიანმა (სახლის პატრონი), დ. სიხარულიძემ (ვარდეანჩაძე), ხელაიამ (იორდანე), დანარჩენნიც ხელს უწყობდენ ანსამბლს. წარმოდგენა დამის 12 საათზე კათავდა და ხალხი ნასიამოვნები დაიშალა. გუსურვებთ ზემოხსენებულ სექტიას ხანგრძლივ-სიცოცხლესა და ხალხის საკეთილდღეოდ დაუდალავად მუშობას.

რეცენზენტი

წვრილი ამბები

◆ **საყვარელი მგოსანი აკაკი** ორშაბათს, 10 მარტს, სასახლის ქეჩაზე, ქართულ თეატრთან, ტრამვაი ვაგონიდან გადმოსვლის დროს მიწაზე დაეცა, რადგან კონდუქტორმა უთოროდ მისცა ვატმანს ვაგონის დაძერის ნიშანი. მგოსანს ცოტათი დაუშავდა ორი თითი და მარჯვენა ფეხი. აკაკის დიდძალი პალნი შემოეხვია, სწრაფი შემონეობა აღმოუჩინა ექ. შ. მიქელაძემ. ამ ჟამად იგი თავის ბინაზე (ოლგას ქ. № 41) წევს.

◆ **პოემა „აბესალომ და ეთერის"** ახალ ყაიდაზე დაწერვას შესდგომია მგოსანი ი. გრიშაშვილი.

◆ **დუტუ მეგრელს** წინად დაწერილი დრამა-პოემა მწირი-სარდალი შეუკეთებია და შეუმსია.

◆ **მწერალს ნ. ლორთქიფანიძეს** დაუწერია დიდი რომანი ჩვენის ცხოვრებიდან.

◆ **დრამატურგს ტრ. რამიშვილს დაუწერია** ახალი 3 მოქმედებიანი პიესა ჩვენის ინტელიგენციის ცხოვრებიდან.

◆ **„სინათლე"-ს სომხურად** გადათარგმნას შეუდგა გ. ფირუმიანი, სომხური დრამ. დასის რეჟისორის თანაშემწე და სახალხო სცენის მოღვაწე.

◆ **ივ. გომართელმა** დასწერა ახალი ორ-მოქმედებიანი ვოდევილი „**იასონის ოინები**" ამ პიესის ბეჭდვას მალე დავიწყებთ ჟურნალში.

◆ **დ. ნახუცრიშვილის მოთხრობანი**, რომელნიც ჟურნალ—გაზეთებში იბეჭდებოდა, მოკლე დროში ცალკე წიგნად გამოიცემა.

◆ **ჭიათურის დრამ. საზ-ის** წლიური კრება ადგილობრივ თეატრში დანიშნულია დღეს 16 მარტს, დილის 11 საათისთვის,

◆ **ხელის მოწერაა გამართული** ახალგაზდა მგოსნების ბ. ახოსპირელის, გ. ქუჩიშვილისა და გ. ტაბიძის ლექსების გამოსაცემად. სამივე მგოსნის ნაწერები ცალ-ცალკე გამოვა.

◆ **აბულ ჰასან-ხანი**, მამედ-ალი შაჰის სამეფო კარის გამოჩენილი მომღერალი, ამ ჟამად თბილისში იმყოფება თავის დასტით გრამოფონზე დასმღერებლად; მომღერალი აღდგომის მეხუთე კვირას ქართულ თეატრში გამართავს ერთს ან ორს აღმოსავლეთის კონცერტს (სპარსულ სამუსიკო საკრავებისა და ფარსულ სიმღერებისას) იმედი უნდა ვიქონიოთ, კონცერტს ხალისიანად შეხვდება თბილისის საზოგადოება ეროვნების განურჩევლად.

◆ **„სინათლე"-ს პროვინციაში** თბ. დრამ. საზოგ. დასი დასდგამს **ქუთაისში** ოთხშაბათს, 19-ა, და ხუთშაბათს, 20-ს მარტს, **ბათომში** 21, 22 და 23-ს **განჯაში** 25-ს. **ბაქოში**-26 დასს ექნება საკუთარი დეკორაციები **ნალებოვის** მიერ დახატული. ბუტაფორია და რეკვიზიტი საკუთარ სახელოსნოში **დამზადებული. პიესისათვის განსაკუთრებულ მუსიკას დაუკრავს** ახალი კლუბის სიმფონიანი ორკესტრი **ბ. პრესმანის** ლოტბარობით, ფერიებისა და ეშმაკთა ბალეტი ბ. ოვერლოს ხელმძღვანელობით. პიესას, ყველა ზემოდასახლებულ ქალაქებში, სდგამს რეჟისორი **ვ. შალიკაშვილი.**

◆ **„სინათლე" მეთხუთმეტედ** წარმ. იქნება ორშაბათს, 17 მარტს, თბ. დრ. საზ. დასის მიერ.

◆ **თბ. დრამ. დასი** სამშაბათს 18 მარტს, ქუთაისს მიემგზავრება „სინათლე"-ს დასადგმელად თანვე მისდევს ავტორი ი. გედევანიშვილი.

◆ **ალ. წუწუნავა**, სახ. თეატროს რეჟისორი, 13 მარტს რუსეთს გაემგზავრა.

◆ **მგოსანი ვაჟა-ფშაველა** ამ ჟამად თბილისშია თიონეთიდან ჩამოვიდა 11 მარტს.

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

ექიმი ა. ო. იაშვილი
(თბილისის საქალაქო 1-ლ ნაწილის მკურნალი)
შინაგან ავადმყოფობათა.
დილით 8—10 ს., საღამოთი 5—7 ს.,
წყნეთის ქ., № 19.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
(ორდინატორი თბილ. სარკინის გზის საავადმყოფოსი)
კანის, ვენერიული და სათაშნგისა
შუადღით 1—2½ ს., საღამოთი 6—8 ს.
მოსკოვის ქ. № 4.

ექიმი ივ. გ. ოდართელი
შინაგან ავადმყოფობთა
დილის 8—12 ს., საღამოთ 5—7 ს.,
ოლგას ქ., № 20,
ტელეფონი № 6—33.

ახალი წიგნი

ნ. ჩხიკვაძე

ფასი ათი შაური

მიიღება ხელის მოწერა ჟურნალ-გაზეთების ყველა აგენტებთან. ხელის მოწერა გაგოძღვლდება მხოლოდ მარტის დამლევამდე; დაბოუნებული კვიტანციები და ფული უნდა გაეგზავნოს ქ. ბათომში, იაკობ ბეუ. ჩხიკვაძეს.

გაშობლ. იამ. ბექანის ძე ჩხიკვაძე

(1—3)

ხელოვნურად — სამკურნალო და — შეზავებული — ხილეულობის წყალი

მიტროფანე ლალიძე ტ ამ.

მზადდება საუკეთესო ხილეულის წვენისაგან. წმინდა შაქარით, ქიმიურად გაწმენდილი მასალებისაგან, გამოხდილი და ნადუღი წყლით.

ბემოლ და სუნი საამური აქვს

ფირმა დაჯილდოვებულია წყლის საუკეთესო ღირსებისთვის დიდი ოქროს და ვერცხლის მედლებით და ცნობილია სრულიად უვნებლად თბილისის გუბერნიის სამკურნალო მმართველობისაგან (№ 5792)

ქარხნები იმყოფება; თბილისში—გოლოვინის პროსპ. № 6, ტელეფ. № 4-11. ქუთაისში—პუშკინის ქ. № 5.

(10—1)

კბილის ექიმი
ალ. სოლოლაშვილი
იღებს ავადმყოფებს
დილის 9—2 სათ.
საღამოს 5—7 სათ.
გოლოვინის პრ., № 12

ექიმი
ვ. დ. ღამბაშიძე
(კახეთის სარკინისგზო მკურნალი)
შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობისა.
ვარდის უბანის ქ. № 9.

ხარფუხის სახალხო აუდიტორია

ხუთშაბათს 20 მარტს
ხარფუხის სახალხო წარმოდგენების მართველ წრის რეჟისორის
ს. პეპანოვის საბენეფისოდ

დღენი ჩვენი ცხოვრებისა

დრ. 4 მოქ. დ. ანდრეევისა
მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი
დასაწყისი საღ. 8 საათზე
ბილეთები იყიდება აუდიტორიის კასაში

სტამბა „გერმესი“, გრაფის ქუჩა № 6. Тифлисъ, тип. „Гермесъ“